№ 30.

# ივერია

წელიწადი პირველი — 22 სეკტემ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**სარჩევი.** I. საქართველოს მატიანე: თელავი, სურამი, საგარეჯო, გაგრით.—II. ომის ამბები.—III საპოლიტიკო მიმოხილვა: საფრანგეთი, ავსტრო-ვენგრია, ინგლისი.—IV. გურული ქართველთ-ყლაპია, გაგელის.—V. სავათნავას ლექსი.—VI. დიდოელების არეულობა და კახეთი, ჭიჭოელისა.

## საქართველოს მატიანე

(„ივერიის“ კორრესპონდენციები.)

**თელავი.**—ხუთს სეკტემბერს შუაღამისას ზარების რაკა-რუკმა ფეხზედ წამოგვაყენა. ერთი რამ უცნაური მოვლინება გვეგონა. გავეშურენით სალაყბოსაკენ. იქ დაგვხვდა თელავის მმართველის თანაშემწე, უფ. დროზდოვი. ყვიროდა და ძლივს სულს იბრუნებდა,—ჩქარა გამოვიდეს ჯარი, ლეკები მოდიანო. ეცნენ კიდევ ერთმანეთს საწყალი გლეხ-კაცები, თოფი არსად, წამალი არსად—სად წასულიყვნენ. მაინცა და მაინც თელავის მაზრაში ხუთასი კაცი მოკრიფეს. სამასი კაცი ბეჟანიანისაკენ გაგზავნეს,—ორასი კაცი თელავში. ანწუხელები და კაპუჭელები გადმოსულიყვნენ ჩადუნიანის თავში, რომელიც მდებარეობს 16 ვერსტზედ სატხენისიდამ. ჩამოსვლისავე უმალ დასცემოდნენ კაბალზედ ხალხს. საქონელი დაეტაცნათ, ხალხი დაეხოცნათ. მერე ბეჟანიანელები შეემწყვდიათ რამდენიმე სახლობა, რომელნიც დასახიზნავად მიდენილიყვნენ,—ისინიც დაეხოცნათ. აქნობამდე ისინი ელოდნენ თურმე თავიანთ მომხრეებს, რომელთაც სიტყვა მიეცათ ჩამოსვლისა,—მაგრამ იმათ თოფ იარაღი აუყრიათ კიდეც და თავიც დაუკრავთ თ. ნაკაშიძისათვის.

ამ ანწუხელებს და კაპუჭელებს კიდევ უთარეშნიათ თურმე ბეჟანიანელებზედ,—მაგრამ ამბობენ ჯარს, რომელიც ლაგოდეხიდამ ყოფილა გამოგზავნილი, გზა შეეკრათ და ლეკები დაქსაქსულიყვნენ ტყეებში. ჯარს ჰქონდა ერთხელ შეტაკება და 30-დინ მოეკლათ ლეკები. იმედია, რომ ამათ თავიანთ ადგილს აღარ აუშვებენ და აქვე გაუთხრიან სამარეს. ამ ამბავმა და ნამეტნავად უფ. დროზდოვის ფაცხა-ფუცხმა მეტად შეაშინა ხალხი. გაღმა მხარი გამოღმა მხარეს გამოიხიზნა. ეხლა მშვიდობიანობაა.

---

**სურამი.** 6 სეკტემბერს. ჩვენში კალოობა გათავდა. გლეხებმა შეალაგეს ბზე საბზელებში, პური ამბარებში, და ცოცხ-ფოცხები დერეფნებში. მოსავალს წრეულს კარგი პირი ჰქონდა.

თვითონ საწყალ გლეხებს თავიანთი ნაშრომ-ნაღვაწი არ შერჩათ. წაიღეს, დაირიგეს ზოგი ბოლოსამ ზოგი ყაყო ურიამ, ზოგი ვინა და ზოგი ვინა... სხვანი ირიგებენ იმის ნაშრომ-ნადაგს, ის კი გულზე ხელდაკრეფილი უყურებს და გულში კი სისხლის ღვარი სდის, მაგრამ რა ჰქნას საწყალმა? ხელიდამ რა გამოუვა? გლეხმა კარგად იცის, რომ უბოლოსოდ და უყაყოდ იმისი საქმე იოლად ვერ წავა; ვისი იმედი უნდა ჰქონდეს გაჭირვებაში? თავად-აზნაურებისა, თუ ბანკისა? გლეხმა ძალიან კარგად იცის რომ, როცა გაჭირვება დაადგება, ბოლოსას და ყაყო ურიის სინიდისს უნდა მიეკედლოს. კიდევ ვიკითხავ: მაშ რა ჰქნას? ეგენიც რა შვილები ბძანდებიან ყველამ ვიცით. სხვაგან არ ვიცი, აქ კი ძალიან უსინიდისოდ იქცევიან ეს

პატიოსანი გვამნი. როცა მაზრის უფროსის მოწერილობა დარიგდება სოფლებში ფოშტის ფულის გარდასახადის შესახებ, მაშინ გასწევენ სოფლებისკენ სურამელი გაჭრები და „პოდრიადჩიკის პრიკასჩიკები“ და გლეხებს ალღოს აალებინებენ რომ ფულით მოგხულვართო. როგორც კატა მეხვსა, ისე შეჰსცქერის ამათაც გლეხ-კაცი და თანაც აგონდება ფოშტის ფული—გული უმგერს მასზედ,—გამოართვას ფული თუ არა. საწყალმა კარგად იცის, რომ ფოჩტის ფულები არ გაისტუმროს, ბიაბრუდ გახდება, გაუყიდიან ან საქონელს ან ტაფა-ქვაბს!.. რა ჰქნას? მიდის და ჯერ არ დათესილს პურს და ქერს ჰყიდის ოხერ ფასად, დაჰპირდება, რომ კალოზე აგიწყავო პურსა და ქერსაო. ეს კეთილის მყოფელებიც სიხარულით ურიგებენ ფულებს და იმ ფასს ჰსდებენ პურზე და ქერზე, რა ფასიც ხელს მისცემსთ. გლეხი იმ წამს ამით კმაყოფილია, იმიტომ, რომ თავიდამ იშორებს ფოშტის ფულს, მაგრამ ის კი არ იცის, რომ ეს ამბავი ერთი ხუთად დაუჯდება ბოლოს.

ამ მდგომარეობაში არიან თითქმის მთელი სურამის საპრისტაოში მცხოვრები გლეხები. ამის გამო სურამის საპრისტაოში საამხანაგო ბანკი აუცილებლად საჭიროა.

ბანკსა ვჩივით, მაგრამ იმ აქლემისა არ იყოს, სხვა რა გვაქვს ხწორე, რომ კისერი გვქონდესო...

სხვა ჩვენში ახალი ამბავი ეს გახლავს: სურამი გაიწურა, მარიამობისთვის ოც-და-ხუთიდამ ისე აცივდა, რომ თითქმის თუ არ თბილის ტანისამოსით კაცს ვერ გამოესვლება. რაც საზაფხულოდ მოსულელები იყვნენ აქა, სულ დაიქსაქსნენ, დავრჩით ჩვენ და ჩვენი წითელ-ჯვაროსნები.

ჯარის მოძრაობამ აქაურობა გაალვიძა. გაგვლილისთ თვის ოც-და-შვიდიდამ დაწყობილი- ჯარმა დაიწყო დენა, გრენადერის დივიზია მიდის ქურუქდარაში. ეს ჯარი მიხაილოვამდისინ მოდის რკინისგზით, იქ ჩერდება ერთ ღამეს და მეორე დღეს ჩქარის სიარულით გაემგზავრება ხოლმე ახალციხისკენ. ჯარისკაცნი (სალდათები) მხიარულად არიან და აქვთ მხნე შეხედულება. მარტო ერთი იმათი შეხედულება გვარწმუნებს, რომ, როცა ისინი მივლენ თავიანთ დანიშნულ ალაგას, სიცხეს მოაყენებენ თავ წითელა თათრებს, მაგრამ მარტო ხელმა რა ქმნას, თუნდა რკინისაც იყოს.....

აქ მყოფი მოსკოვის აზნაურთა საზოგადოება დაუხვდა ამ ჯარს ჩაით. მშვენიერს ბაღში, ხეებ ქვეშ გამართა ფიცრის ტაბლები; ზედ გაამწკრია ჩაის ჭიქები და ხასი პურები. როცა ჯარი მოვა, მოიწვევენ ხოლმე ტაბლებთან და მთელს ჯარს ასმევენ ჩაის. თვითან უფ. შერემეტიევი თავისის მეუღლით და მოახლებით ემსახურებიან ჯარს. რასაკვირველია ამ ნაირი გულმტკივნეულობა გულს გაუკეთებს მეომრებს. ჯარი მიდის ბორჯომის ხეობაზე და გადადის ბაკურიანის უღელ ტეხილზედ, სადაც დაქნილია ახალი გზა, მაგრამ უღელტეხილზედ ჯარს დაბრკოლება მიეცა, რადგანაც უღელტეხილზედ თოვლი მოსულა და აუტალახებია. ეს გზა თუმცა გაი-გაგლახით გაკეთდა, მაგრამ ამ გაჭირვების დროს ვერაფრად გამოადგა ჯარსა. ამის გამო ჯარმა შეიცვალა გზა და ეხლა მიდის ახალციხეზე, იქიდამ მივა ახალ ქალაქს და ახალქალაქიდამ გასწევს ქურუქდარისაკენ.

ამ მოძრაობის გამო ბეგარა გახშირდა. ყველა სოფლებიდამ ჩამოიყვანეს ურმებით გლეხები და აზიდვინებენ ჯარის ბარგსა. გლეხთა სიტყვით, ზოგჯერ თურმე იმლევიან „პრაგონის“ ფულებს და ზოგჯერ კი.......დღეს პოლტავის პოლკმაც გაიარა, რომელიც ისეთივე ჩქარის სიარულითა მიდის მოკლეს გზით არტაჰანში.

ერთმა ახალციხიდამ ჩამოსულმა კაცმა გვიამბო, რომ ახალციხე არის მეტად ცუდს მდგომარეობაში. სიმვირეა ყოვლიფერისა, მცხოვრებნიც შიშ-კანკალში გართო; ერთი სოფლიდამ მეორე სოფელში მგზავრი დიდ შიშიანობას გამოივლის ხოლმეო; სოფლებზე დაცემა აჭარლებისა, ტყვედ წახხმა და აკაზაკობა გახშირებულიაო. „თავად არ იყო მძარიო, შიგ შეურიეს წყალიო“. როცა ომი არ იყო, რა მდგომარეობაში იყო ახალციხე, რომ ახლა რა მდგომარეობაში უნდა იყოს.

ს. ბავრელი.

საგარეჯო. 5 ენკენისთვეს.—მე მსურს გაცნობო საზოგადოებას ახლად შემინებულის სამეურნეო იარაღის მოქმედება. მე ვამბობ ახალ კევრზედ, რომელიც გააკეთა ნიკო ავალიშვილმა. ამ კევრს გარდა, ავალიშვილს მთელი კალო აქვს მეხანიზმით მოწყობილი, რომელიც ჯერ-ხანად მხოლოდ ნიმუშად (მოდელად) აქვს გაკეთებული და მოქმედებაში ვერ მოუყვანია ერთის გარემოების გამო. ეს გარემოებაც ჩვენი კევრის უჯიშობა იყო. ჩვენ როგორც ვიცით, ეს ერთი წელიწადი იქნება, რაც ავალიშვილი ცდილობს რომ თავის მეხანიზმს შესაფერი კევრი აურჩიოს. მგონი რაც ქვეყანაზედ კევრებია—არც ერთი არ დარჩენია გაუცნობელი. ამათ შორის იმან თავისთვის შესაფერად დაინახა სპარსელი ქართვლის ალექსანდრე ონიკაშვილის ნაამბობი კევრი, რომელსაც ხმარობენ თურმე სპარსეთში გარდასახლებული ქართველები. ნიკო ავალიშვილმა გააკეთა ეს კევრი, რასაკვირველია ზოგი თავისიც დაუმატა, და მოინდომა ჯერ ცალკე ამ კევრის გამოცდა.

ხუთ სეკტემბერს ეს კევრი მოიტანეს კალოზე, სადაც იყო ჩაშლილი ურემ-ნახევარი მნა. ამ კევრში შეაბეს ერთი ცხენი და კევრზე დაუგდა თვითონ ნიკო ავალიშვილი. ცხენი ძრიელ თავისუფლად დაახრიალებდა კევრს; მეც ზედ შევუდექი, მაგრამ მაინც კიდევ ცხენი სრულიად სიმძიმეს არა ჰგრძნობდა და თავისუფლად დაგვარბევინებდა.

ამ დროს იქვე ჩვენ მეზობელსაც ება კალო, რომელსაც იმდენივე მნა ჰქონდა ჩაშლილი და ება ერთი ცხენი და უღელი ხარი, (ე ი. ორი კევრი). რასაკვირველია ახლა უფრო ადვილად გავიგებდით,—ეს ახალი კევრი რამდენად ჩქარა და კარგა გალეწავდა, რადგანაც შესადარებლად იქვ თვალ-წინ ჩვენი ჩვეულებრივი ქართული კევრი მოქმედებდა. მეზობელმა შეაბა დილის შვიდ საათზე, ხოლო ჩვენ რვა საათზე. ორივემ გავათავეთ ლეწვა ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე; მაგრამ აი რა განსხვავება გჰპოვეთ: ამ ახალ კევრში ნაბამი ცხენი ჯაფას არ იმცნევდა, გამოშვების შემდეგ სრულიად არ ეტყობოდა კალოში ბმულა თუ არა, მაშინ როდესაც ჩვენის ქართულის კევრის თრევით მეზობლის ცხენი საშინლად მოქანცული იყო. ბზე ახალის კევრით გალეწილი ძრიელ რბილია და მუხლებშიაც დაჩლეჩილი, ასე რომ ჩელხი მალიან ცოტა აზდევს; ამ ბზეს საქონელი ზედ დააკვდება, ერთს მუჭასაც არ გაუშვებს ბაგაში შეუჭმელს. ქართულის კევრით გალეწილი ხმელია, ხელი რომ მოავლოს კაცმა, ჩხვლეტას დაუწყებს ხელში, მაშასადამე საქონელსაც დაუწყებს პირში ჩხვლეტას: ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ზამთარში საქონელი ნახევარზე მეტს ბზეს ჰსტოვებს ხოლმე ბაგაში შეუჭმელს. ეს ახალი კევრი ზომიერი სიდიდისაა (აქ უნდა ვჰსთქვა, რომ ავალიშვილს კიდევაც პატარა გაეკეთებინა). როგორც გამოვცადეთ, ერთი ამ კევრის ნალეწი უდრის სამს ქართულის კევრის ნალეწს, ბზის უკეთესობით. ერთ ცხენს შეუძლიან ამისთანა სამი კევრი თავისუფლად ატაროს, ასე რომ ცხენს არავითარი მალა არ დაადგება. ვინც ნახა, ყველა გლეხმა მოიწონა ეს კევრი. ეს კევრი იმითია უფრო კარგი, რომ მეტად უბრალო რამ არის, ყველას შეუძლიან ამისი გაკეთება. მარხილსა ჰგავს, მარხილივით აქეთ-იქით ხელნები აქვს, თავი ვიწრო, ბოლო განიერი; სელნებში ღერძებია გაყრილი, ღერძებზე არის ასხმული თხელი რკინის პირიანი გოგორები, რომლებიც ღერძებზეა დამაგრებული და მოქმედობის დროს ღერძები ხელნებში ტრიალებენ. ხელნები მაღლა ჰსდგას, ზემოდამ შეკრული ფიცარი ჰხურამს, რომელზედაც კაცი დაუდგება. სულ აქვს ექვსი ღერძი და ოც-და-თერთმეტი გოგორა, მაგრამ საჭიროა შვიდი-რვა ღერძი და ორმოცი, ორმოც-და-ათი რკინის გოგორა. ბოლოზე აქვს თვითონ ავალიშვილისგან მიმატებული საქცევი ფოცხი; შემდეგ ორთითით ქცევისა გაუკეთდება ეს ფოცხი და მუდმისად თვითონ უქცევს მნას. ეს ფოცხიც ღერძებზეა გაკეთებული, ბოლოზე დატრიალებს, როგორც პირველი ღერძები. ერთის სიტყვით ნ. ავალიშვილმა თავისი მაშინა-კალო რომ როგორმე ვერ მოაგვაროს, მაინც საგარეჯოს საზოგადოება იმასაც დიდად დაუმადლებს, რომ ეს კევრი შემოაღებინოს ჩვენ საზოგადოებას. პირველად, საქონელს გამოიხსნის იმ ტანჯვისაგან, რა ტანჯვაშიაც ჩვენს კევრებში არიან ხოლმე, დილიდგან საღამომდის ათრევენ კოხიან ფიცარს და სულები ხდებათ; მეორეთ, გამოიხსნის მძიმე შრომისაგან თვითონ დედაკაცებსაც, რომლებიც ეხლა მუდმისად დგანან კალოზე თან უქცევენ და თან უსწორებენ კევრისაგან ახვეტილს მნას. ამ ახალის კევრისაგან დახვეტა შეუძ-

...დებულია. ვისაც სურს ნახოს ნიმუში ორთავე კევრის ნალეწის ბზეებისა შეუძლიანთ მიჰმართონ თვითონ ნიკოლოზ ავალიშვილს და მაშინ დარწმუნდება, თუ რა სასარგებლო იქნება ამ ახალის კევრის შემოღება.

ა. კავთელი.

---

## გაკვრით.

(შემდეგი).*)

სხვათა შორის ჩვენს მთის ხალხში შკოლებსა აქვს ერთნაირი დაბრკოლება, რომლის გამოც ძვირად წავა იმათი (შკოლებისა) საქმე ხეირიანად. მე ვამბობ აი რა დაბრკოლებაზედ: ჩვენი მთის ხალხი ალაგის უქონლობის გამო არის ძალიან გაფანტული, ასე რომ, მაგალითად, მთელს ფშავის ხევში ძვირად იქმნება სოფელი, რომ ოცი კომლი იდგეს ერთად. ზოგს სოფელში დგას ორი კომლი, ზოგან სამი და არის ისეთი სოფლებიც, სადაც თითო კომლის მეტი არ არის. ეს სოფლები ჯერ არ არიან ერთმანეთზედ ძალიან ახლო და მერმეც დელე-დულე გზები უფრო აშორებენ ერთმანეთისაგან. რადგანაც შეგირდებს ძრიელ შორიდამ მოუხდებათ სიარული, ასე რომ ძალიან გაუჭირდებათ თავიანთ სახლებიდგან შკოლაში მისვლა, ამის გამო ცხადია, რომ შკოლის საქმე ძრიელ უნდა შეფერხდეს. თუ ამას მივუმატებთ, რანაირი თოვლი და სიცივეები იცის აქა, საკმაო იქნება, რომ აღარა გვქონდეს ეჭვი ესლად ნათქვამში. და აი ამისთანა სოფლებში არსებობენ სასოფლო შკოლები. მე ვიცი, მაგალითად, ფშავის ხევში სოფელი, სადაც მარტო სამი კომლი არის: მღვდელი, დიაკვანი და მასწავლებელი და ამ სოფელში არის შკოლა. ის გარემემო სოფლები, საიდგანაც შეუძლიანთ შეგირდებს სიარული ან შეადგენენ ხუთმეტ კომლსა, ან იმასაც ვერა. ბევრით მომეტებული ნაწილი ამ შკოლის შეგირდებისა არიან სხვა შორეულის სოფლებიდგან. მართლაც და რომ დაფიქრდეს კაცი, საცოდაობის სახილვებელი არის ამათი სწავლა. შაბათს რომ გათავდება გაკვეთილები, უნდა წავიდეს შეგირდი შინა, დაარეცხინოს, დააკერებინოს, წამოიღოს კვირა დილით თავისი ერთი კვირის საგძალი და წამოვიდეს. რა შეადგენს იმის ერთის კვირის საგძალსა? გამხმარი ხმიადი, რომელიც უფრო ხმებაერთის კვირის განმავლობაში ჭ ობი ეკიდება. თუ ამას მივუმატებთ ისეთსავე გამხმარს კალტსა (ყველის მსგავსია, მაგრამ ისეთი ხმელი, რომ ურიას რომ თავში დაარტყათ, გაქრისტიანდება), მაშინ ჩამოთვლილი გვექნება საზრდო, რომლითაც იძულებულია იკვებოს საწყალი შეგირდი კვირითი-კვირამდენ. არც მეტს სანუგეშო სურათს წარმოგვიდგენს იმისი დღე და ღამის სადგომი. შკოლის სხვენი, რომელსაც შესავლათა აქვს იმოდენა ჩუჩრუტანა, რომ კაცს ძლივს შეუძლიან წვალებით შეძრომა, სადაც მუხლამდინ ჩავარდება კაცი ნაგავში და მტვერში; სადაც ზამთარში სიცივე გაუჭირებს კაცს საქმეს და ზაფხულში სიცხე, რაც გინდა უგრძნობელი აგებულებისა იყოს; თავით ქვა, ანუ შეშის ნაჭერი და ზედ ან ნაბადი და ან ტყავი, აი ამ შეგირდების ზამთარ-ზაფხულის სადგომი, საგები და სახურავი — სახელდობრ, იმ შეგირდებისა, რომელნიც თავიანთ სახლებიდგან ვერ დადიან სიშორისა გამო. მართალია ყოველი შკოლა ესეთი არ არის, მაგრამ მე მინახავს და ესლაც არსებობს ესეთი შკოლა. უყურე, მკითხველო, შეგირდის მოთმენასა! რას არ ითმენს საწყალი ყმაწვილი, ოღონდ კი ასწავლონ რამე! ნუ თუ ღირსი არ არის ეგეთის ხასიათის შეგირდი, რომ მიიღოს მადლიანი სწავლა, და არა ის უგულმართი, ცრუ პედაგოგიური რასაც ესლა ეძახიან ახალს პედაგოგიურს სწავლასა! იტანჯება საწყალი შეგირდი, იკლავს თავს რუსულ ფრაზებზედ, დაისწავლის რამდენსამე იმათგანს და ეს სულ რისთვის? რისთვის ატარებს თავის სიცოცხლის საუკეთესო დროს იმისთანა ძაღლ-უმადურს ცხოვრებაში? მხოლოდ იმისათვის, რომ გამოვიდეს შკოლიდამ და ისე სამუდამოდ დაჰკარგოს ის ფრაზები, როგორც დაჰკარგა იმან თავის სიყმაწვილის საუკეთესო დრონი!

×

ამ სამიოდე წლის წინად სად იყო, ვინა ჰნახავდა კახეთის სოფლებში შკოლებსა? ეხლა რომ გაიაროთ კახეთში, გაგაკვირვებთ შკოლების სიმრავლე. ეს რასაკვირველია, ძრიელ სასიამოვნო ამბავია და კიდეც გვიჩვენებს იმ გარემოებას, რომ ჩვენს დაბალს ხალხშიაც გავრცელდა სწავლის საჭიროება. უნდა ისიც ვჰსთქვათ, რომ ჩვენი ხალხი დიდის სიამოვნებით და თითქმის ხელაღპყრობით მიეგება ამ შკოლების გამართვასა. მაგრამ, კაი თუ აქაც ის მოუვიდეს, რაც ხალხის თავს ძრიელ ხშირად მოუვა ხოლმე: ისევ მალე გაუგრილდეს გული იმ საქმეზედ, რომლის დაწყობასაც ესე მხიარულებით მიეგება. ეს რომ

*) ივერია № 29.

ესე მოჰხდეს, თუ მომხდარიც არ არის, ამაში ხალხი არაოდეს არ იქმნება დამნაშავე, არამედ ის პირნი, რომელთ ხელშიაც არის ამ საქმის წარმოება. რა საჭიროა იგავებით ლაპარაკი: საქმე იმაშია, მომეტებული ნაწილი კახეთის სასოფლო შკოლების მასწავლებელთაგანნი მოუმზადებელნი არიან თავიანთ საქმის რიგიან წასაყვანად. ეს გარემოება შეუძლებელია, რომ არ გამოაჩნდეს ხალხის შეხედულობას. შესახებ შკოლის საქმისა არის ერთი ღონისძიება, რომლითაც ამ სენს შევიძლიან წავართოთ ძალა,—ეს ღონისძიება არის მასწავლებლების ერთად თავის მოყრა ყოველს ზაფხულს და იმათი ვარჯიშობა.

დ. რ.

(შემდეგი იქნება.)

---

## ომის ამბები.

აჯანყება გუნიბიდამ 9 ენკენისთვეს ყაზიყუმუხისა და დარგინის მაზრასაც მოსდებია. აჯანყებულნი ყუმუხის მაზრის გამგეობას დასცემიან და სრულიად ამოუწყვეტიათ. ამაობაში დაღუპულან პოლკოვნიკი ჩემბერი, გამგეობის მოხელენი და ორმოცდა ათამდე ჯარის-კაცი. 11-ს ენკენისთვეს არეულობა სამხრეთ დაღესტანშიაც გაჩენილა, სადაც აჯანყებულა ტაბასარანის მაზრა. იმავე დროს თ. ნაკაშიძის და ტერ-ასატუროვის მარჯვე გუნდებს დაუმარცხებიათ რამდენიმე ალაგას აჯანყებულნი და სხვათა შორის სოფ. ლავაშთან გაუფანტავთ ექვსას აჯანყებულთა გროვა და მით შუა დაღესტანში თითქმის სრულიად შეუწყვეტიათ არეულობა. ჯარი შემდეგ კაიტახის მაზრას წავიდა, სადაც ყოველი ღონისძიება არის ხმარებული შუა-დაღესტნის აჯანყების მოსასპობლად. ყველა ამ საქმეში ჩვენის მხრით ხუთი ჯარის-კაცია მოკლული, და დაჭრილთა შორის-სამურსკის პოლკის პოდპორუჩიკი პროკოპიევი, პრაპორშჩიკი ბიკოვსკი და 40 ჯარის-კაცი (მათ შორის მილიციონერებიც).

— 15 ენკენისთვეს ღენერალ-ტერღუკასოვისა და იზმაილ-ფაშას ჯართა შორის ბრძოლა გამართულა. იზმაილ-ფაშის ჯარი რუსის ჯარს დასცემია, მაგრამ ჩვენებს უკუ უქცევიათ და დიდი ზარალიც მიუციათ. ჩვენის მხრით თექვსმეტი ჯარის-კაცი მოკლულა და 148 დაჭრილა. გარდა ამისა დაჭრილთა შორის არიან: ღენერალი დეველი, კუბანსკის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი კობენინი, პოდპორუჩიკები სტარცევი და გუსეინოვი; სტავროპოლის პოლკის პორუჩიკი გოლოვინი; დერბენდის პოლკის პრაპორშჩიკი სმირნოვი; არტილერიის პორუჩიკი ვოლკენსკი და პრაპორშჩიკი ლიპინსკი. გაკაწრულთა შორის: კუბინსკის პოლკის პოდპოლკოვნიკი მდივანი, შტაბს-კაპიტანი ბაქრაძე, პოდპორუჩიკი კუზნეცოვი, და არტილერიის პოდპოლკოვნიკი კოლოდეევი.

— 10 ენკენისთვეს ოსმალოს ათი ათას ქვეითა ჯარს თვის არტილერიით, რომელიც სოფიის გზაზედ მოძრაობდა, უკუ უქცევია რუსის ცხენოსანი ჯარი და პლევნას შესულა.

გარდა ამისა ვიდდინიდამ პლევნისაკენვე დაძრულა ერთი კორპუსი ოსმალოს ჯარი, რომელსაც—თუ მართალია გაზეთის Голосъ-ის დეპეშა—წინ რუმინიის ჯარი დახვედრია და ბრძოლა გამართულა. ჯერ არავინ იცის საქმე რით გათავებულა.

იმავე გაზეთის დეპეშა გვაცნობებს, რომ რუსის მთავრობას განკარგულება მოუხდენია ბოლგარიაში რკინის გზების გაყვანისა.

— დუნაიის მთავარ-სარდლის განკარგულებით ინგლისის გაზეთის Standart-ის კორრესპონდენტი, უფ. ბოილი ზანაკიდამ დაუთხოვნიათ. ამის მიზეზი ესა ყოფილა: უფ. ბოილს პატიოსანი სიტყვა მიუცია,—არაფერს არ დავსწერ ჯარის განწყობილების შესახებო, და თავისი სიტყვა კიარ აუსრულებია. გარდა ამისა, დიდი მტრობა გამოუჩენია თურმე რუსის მხედრობისადმი, როცა მის შესახებ რამე უწერია.

— რუსის გაზეთს Голосъ-ს ვენიდამ 19 სექტემბერს შემდეგი დეპეშა მოსვლია: „ბუხარესტიდამ ცნობა მოვიდაო, რომ მემკვიდრის ცესარევიჩის ლაშქარს დაუმარცხებია მეჰმედ-ალი (მთავარ-სარდალი ოსმალოსი) ყარა ლომზედ. ოსმალთ ორი ათასი კაცი დაჰზარალებიათ.

— გაზეთი Neue freie Presse-ს შუმლიდამ ჰსწერენ, რომ რუსის თარეში ჯარი ჰსდევნის ოსმალოს ჯარსაო, რომელსაც პაპკოიდამ უკან დაუწევიაო. 13-ს სექტემბერს რუსის ყაზახებმაო ყაპაცგი დაიპყრესო.

— ნამდვილს წყაროდამ შეუტყვიათ, რომ სერბია მალე მიიღებს ომში მონაწილეობას. ამბობენ რისტიჩს (სერბიის მინისტრის) ოსმალოსათვის მოუთხოვნია, „ჩვენს სამზღვარზედ მოგროვილი ჯარიო უკანვე წაასხითო, თორემ ეგ ომის მიზეზად შეიქნებაო“.

— 20 სეკტემბერს ჩვენებს მუსთარ-ფაშაზედ ძალიან გაუმარჯვნიათ ჩვენებს, აუღიათ დიდი იალნი, მუსთარ-ფაშა გარშემორტყმულია ჩვენის ჯარით, რომელსაც ყარსისაკენ მუსთარისათვის გზა გადუჭრიათ. ოსმალებს ხუთი ათას კაცამდე დაჰზარალებიათ, ას ორმოცი ტყვეთ დაუჭერიათ. ქალი წინამძღვანი ცხენოსანთ ბედუინებისა ყარა-ფატმა მკვდარი უპოვნიათ. ჩვენგანნი ათას ხუთასამდე დაჭრილია მოკლულთა, რიცხვი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ჯერ კიდევ ომი მიდისო.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.** მომავალ არჩევანისათვის მთავრობას როგორც მოგეხსენებათ თავისი კანდიდატები ჰყავს წამოყენებული და ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ხალხმა უსათუოდ ისინი ამოარჩიონ დეპუტატებად. მაგრამ ვაი ამ კანდიდატებს! ამათ თვითონაც არ იციან რა პოლიტიკის წარმომადგენელნი არიან და რა გზას უნდა დაადგნენ მომავალში. ყოველს კანდიდატს მტკიცე მხედველობა და რწმენა უნდა ჰქონდეს და ჩვეულებად მიღებულია რომ ყოველმა კანდიდატმა თვის ამომრჩევლებს თავისი თავი უნდა გააცნოს, უნდა აცნობოს თავისი ჰაზრი თუ დეპუტატობა ჰსურს. მაგრამ ამ მხრით მაკ-მაგონის კანდიდატები დიდ საცოდაობაში არიან. ამას გვიმტკიცებს სხვათა შორის შემდეგი მაგალითი. ამას წინედ ლილადამს, ესე იგი იმ ქალაქში, სადაც—თუ გახსოვთ ტიერმა ფიცხელი სიტყვა წარმოსთქვა უფ. სენარის სასარგებლოდ და ურჩია ხალხს სენარი ამოირჩიეთო,—ლილადამს მეთქი ყრილობა გაიმართა უფ. დეჰეინენისათვის, რომელიც მთავრობის კანდიდატია და სენარის მოცილეა. რა არის უფ. დეჰეინენი ან რა პოლიტიკის კაცია,—ეგ არავინ არ იცოდა. ერთი აგვიხსენ შენი პოლიტიკაო, გვიჩვენე შენი აზრიო, ეუბნებოდნენ ამომრჩეველნი. მაგრამ უფ. დეჰეინენი მარტო ამას იძახოდა: „ჩემი აზრი მარშალი და კონსტიტუციაა, მე მწამს კონსტიტუციაო; 1880 წელს კი (როდესაც მაკ-მაგონს პრეზიდენტობის ვადა გაუთავდება) ხალხს მივმართავო და ვკითხავ რას ისურვებსო, სთქვა ბოლოს დეჰეინენმა.—მაშ რაღად გვატყუებო, მიუგეს ამომრჩევლებმა, რომ შენ კონსტიტუციის მომხრე ხარო. კონსტიტუციაში ცხადად არის გამოყვანილიო, თუ რა გზით განიხილება ხელმეორედ კონსტიტუციაო (ე. ი. ორივე პალატის მიერ საერთოდ) მაშ შენ თვითონაც არ გესმისო ის კონსტიტუცია, რომელიც გწამსო. რესპუბლიკელი ხარ თუ არაო, ჰკითხეს ბოლოს დეჰეინენს.—მე კონსერვატორი გახლავარო, უპასუხა დეჰეინენმა.—ძალიან კარგი, მაგრამ კონსერვატორი რესპუბლიკელი, თუ კონსერვატორი—მონარხიულიო? ჩააცივდნენ ამომრჩეველნი საწყალს დეჰეინენს.—მარშალსა ჰკითხეთო, წამოიძახა ბოლოს დეჰეინენმა, საქმე რომ გაუჭირდა. აი მართებული პასუხი სწორედ ეს არის. მაკ-მაგონმა წამოაყენა თავისი კანდიდატები, ურჩია ხალხს ეს და ეს ამოირჩიეთო; ხალხი ჰკითხავს ამ კანდიდატებს,—გვიჩვენეთ თქვენი აზრიო, აგვიხსენით თქვენი პოლიტიკაო, და ესენი კი ეუბნებიან ჩვენ თვითონაც არა ვიცით რაო, მარშალსა ჰკითხეთო. ბარაქალა! მაგრამ როგორც ეტყობა მარშალსაც საუბედუროდ, ბევრი არა ესმის რა პოლიტიკისა. აბა მართლა ვკითხოთ მაკ-მაგონს,—რა პოლიტიკას მისდევს. ამისათვის მის მანიფესტს უნდა მივმართოთ ჩვენი ყურადღება, რადგანაც, რაღა თქმა უნდა, რაც კი ძალა, ხერხი და ჭკუა ჰქონდა მაკ-მაკმაგონს, სულ მანიფესტში გადმოალაგებდა. წარსულ ნომერში შემოკლებით მოგახსენეთ ამ მანიფესტის შინაარსი. ეხლა სიტყვა სიტყვით მოგახსენებთ ამ ღირს-შესანიშნავ საუნჯეს მაკ-მაგონის პოლიტიკისას. აი ის მანიფესტი:

„ფრანციელნო! თქვენ მალე მოგიხდებათ დეპუტატთა პალატის წევრთა ამორჩევა. მე აზრათაც არა მაქვს არჩევანის თავისუფლებას გზა შევუშალო; მაგრამ მე მსურს, რომ საქმე ნათლად გიდგეთ თვალ-წინ და ამიტომ თქვენ უნდა იცოდეთ თუ რა გავაკეთე, რის გაკეთება მსურს და რა შედეგი ექნება თქვენ საქციელს და მოქმედებასა.

„მე გავაკეთე შემდეგი: ოთხი წელიწადი მშვიდობიანობას ვიცავდი. უცხოეთის ხელმწიფეებს საკუთრად ჩემი ნდობა აქვთ, და ეს ნდობა საბუთს მაძლევს უფრო მკვიდრად დავიმეგობრო სხვა ხელმწიფეები. ამ მშვიდობიანობისა და აგრეთვე იმ კაცთა მოღვაწეობის ძალით, რომელნიც გარს მეხვივნენ და ქვეყნის სიკეთისათვის ზრუნავდნენ, ჩვენის ქვეყნის კეთილ მდგომარეობა, დროებით შეფერხებული, ისევ წარმატებაში შევიდა. თუმცა ხალხს მძიმე გარდასასადი აწუხებს, მაგრამ მაინც ხალხის სიმდიდრემ იმატა, ხალხის ყისტი, ეხტიბარი (კრედიტი) დამკვიდრდა. საფრანგეთს თვალწინ უდგა ღირსეული და განახლებული მხედრობა. ყველა ამ ნაყოფს ერთი შიში მოჰყვა. დეპუტატთა პალატი თან და თან დაუშორდა ზომიერ პირთ, უფრო და უფრო აჰყვა რადიკალების დასის მოთავეებს და ბოლოს იქამდისინ მივიდა, რომ უარი ჰყო ჩემდა კუთვნილი უფლება, რომლის დამცირებას ვერას გზით ვერ შევიწყნარებ, თუ რომ სახელის დაცვა მინდა თქვენსა და ისტორიის წინაშე. დეპუტატთა

პალატს ჰსურდა უკუეგდო სენატის ზედმოქმედება მმართველობაში და მით დაედგინა დესპოტობა. მეტის მოთმენა და შეწყნარება აღარ შემეძლო. მე აღვადგინე ჩემი უფლება და სენატის ნება დართვით დავშალე დეპუტატთა პალატი.

„ახლა თქვენ უნდა აღიაროთ თქვენი აზრი. ნუ დაიჯერებთ, რომ მე რესპუბლიკის დარღვევა მსურდეს. მე ვარ კონსტიტუციის მფარველი და შევიძლებ კიდეც სხვასაც პატივი ვაცემინო კონსტიტუციისათვის. თქვენგან კი მოველი იმ გვარის პალატის ამორჩევას, რომელმაც უნდა იზრუნოს მთელის ქვეყნის სარგებლობისათვის და არა მარტო ერთის რომელიმე დასისათვის. უკანასკნელ არჩევანში ბევრი მოქმედებდა ჩემის სახელით, მაგრამ ბოროტად მოქმედებდა: იმ კაცთა შორის, რომელნიც ჩემს მომხრეთ ითვლებოდნენ, ბევრნი გამიდგნენ და, როგორც ჩემი მოწინააღმდეგენი, მებრძოდნენ. ეხლაც ამბობენ, რომ ჩვენ მხოლოდ მინისტრებს ვებრძვითო და არა მარშალსაო. მაგრამ ნუ მოსტყუვდებით. მთავრობა თვითონ გიჩვენებთ იმ კაცებს, რომელთაც შეუძლიანთ ჩემის სახელით იმოქმედონ. თქვენ კარგად უნდა იცოდეთ იმ კენჭის მნიშვნელობა, რომელსაც მიჰსცემთ ერთს თუ მეორეს, არჩევანის დროს. არჩევანი, რომელიც ჩემის პოლიტიკის თანახმა იქმნება, ჩემს მთავრობას გაუადვილებს საქმის წარმოებას, დაიცავს უფლების დედა-აზრს' დაამკვიდრებს წესიერებას და მშვიდობიანობას. ის არჩევანი კი, რომელიც ჩემის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იქმნება, პირიქით უფრო გააფიცხებს აწმყო ბრძოლას, შეუკრავს გზას ვაჭრობას, დაჰბადავს იმ გვარ მდგომარეობას, რომლის გამოც თვით ევროპა ეჭვში შევა.

„ჩემდა შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ რამოდენადაც იმატებს შიში, იმოდენად უფრო მტკიცედ დავადგები ჩემის მოვალეობის აღსრულების გზას. მე არას დროს არ დავიხევ რადიკალების წინ და არ დავთმობ იმ თანამდებობას, რომელიც კონსტიტუციამ მომანდო მე. მე დავრჩები ჩემ ადგილას, რომ დავიცვა, სენატის შემწეობით, კონსერვატიულნი მოთხოვნილებანი, და შემწეობა მივცე სახელმწიფოს ერთგულ მსახურთა, რომელთაც თავი შეიმაგრეს და არ შეუშინდნენ ტყუილ-უბრალო მუქარას.

„ფრანციელნო! მშვიდობიანად მოველი თქვენის გრძნობის აღიარებას. საფრანგეთს, ამოდენა განსაცდელის შემდეგ, ჰსურს სიმტკიცე, წესიერება და მშვიდობიანობა. ღვთის მადლით, ჩვენ დავუმკვიდრებთ მას ყველ ამ სიკეთეს. იმედი მაქვს თქვენ დარწმუნებით იმ სალდათის სიტყვას, რომელიც არა დასს არ ეკუთვნის, არც ემსახურება არც რევოლიუციის გულის თქმას, არც რეაქციისას, და რომელიც მხოლოდ მამულის სიყვარულის ძალით შეიქმნა თქვენდა მოთავედ.“

აი მარშალსაც ჰკითხეთ, მაგრამ მაინც არ ვიცით, უფ. დეჰკეინენი რესპუბლიკელია თუ არა. ზემოხსენებულ მანიფესტში ზვიადობის მეტი არა არის რა. მერე იმისთანა ზვიადობაა, რომელიც ხალხს გულს უმღვრევს და აბოროტებს. მაკ-მაგონსაც უთუოდ ის უნდა, რომ გააბოროტოს ხალხი გულზედ მოიყვანოს და არეულობა რამ ატეხინოს. მაშინ მაკ-მაგონი ხმალს ამოიღებს და იტყვის: აღარც ეხლაა საჭირო წესიერებისა და მშვიდობიანობის დასაცველად ხმლის ამოღებაო!... მაგრამ ვაი მისი ბრალი, თუ ხალხმა მშვიდობიანად და გულდინჯად მის პოლიტიკას შავი კენჭი ჩაუგდო. ჩემს თანამდებობას თავს არ დავანებებო, ამბობს მაკ-მაგონი. თუ ეგრეა, მაშ თოფ-იარაღზედ მივარდება საქმე. თუ თავის ნებით არ ჩამობძანდება პრეზიდენტის ტახტიდამ, ძალად ჩამოაბძანებენ. ხმლის გარდა, ჭკუაც რომ ჰქონოდა, მაკ-მაგონი არ გამოაცხადებდა ამისთანა მანიფესტს. ეხლა თვითონვე თავის ხელით ითხრის თავისის პოლიტიკის სამარესა.

ამ მანიფესტის წინააღმდეგ გაზეთს Republique Française თავის მხრით გამოუცხადებია მანიფესტი, რომელიც არღვევს და უარ-ჰყოფს ყოველ მუხლს მაკ-მაგონის მანიფესტისას.

— გრევს ფიქრშიაც არა ჰქონია უარის თქმა რესპუბლიკელთა დასის მოთავობის შესახებ. სულ თვითონ მთავრობას გამოუჭორავს, აგები რესპუბლიკელებს იმედი გაუწყვიტოვო. გრევი არამც თუ უკან არა დგება, არამედ კანდიდატობაც მიუღია პარიჟის მერვე მაზრაში, რომლის წარმომადგენლად ტიერი იყო.

—

**ავსტრი ვენგრია.** საშინელი ღელვაა თურმე ამ ჟამად ავსტრი-ვენგრიაში. ვენგრიელებს ხომ ძალიან უყვართ ოსმალები და ყოველ დონის-ძიებას ხმარობენ, რომ თვით მთავრობაც აიყოლიონ და რუსეთის წინააღმდეგ გზაზედ გამოიყვანონ. არც ერთს მცირეს შემთხვევას არ ჰსტოვებენ ხელიდგან, რომ არ აგრძნობინონ,

მთავრობას თვისი მტკიცე სურვილი და მიდრეკილება. აი, მაგალითებრ, ერთი შემთხვევა: 30 მარიამობისთვეს, ჩვენის ხელმწიფე იმპერატორის დღეობას ავსტრიის იმპერატორს სადილი ჰქონდა, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ, სხვათა შორის, რუსეთისა და ოსმალეთის სამხედრო აგენტებიც. ავსტრიის იმპერატორმა დალია ხელმწიფე იმპერატორის სადღეგრძელო და მოიხსენია თურმე იგი როგორც თვისი „მეგობარი და მოზავე." ამ სიტყვაზე მ ო ზ ა ვ ე შეუდგათ ვენგრიელებს ერთი საშინელი ქოთქოთი, როგორ თუ მოზავეო? მაშ ავსტრიის იმპერატორს წინადვე თავისათვის ხელ-ფეხი შეუკრავსო? მაშ მართლა პირშეკრულობა ყოფილა ორთა იმპერატორთა შორის დადგენილიო? მაშინვე გაიმართა რამდენიმე ალაგას მიტინგი რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის აგენტს დიდის ალტაცებით მიეგებნენ ვენგრიელნი ქუჩაში და უყვიროდნენ: „გაუმარჯოს ოსმალებსაო." შემდეგ ოფიციალურ გაზეთებმა გამოაცხადეს, რომ იმპერატორს არ მოუხსენებიაო სიტყვა მ ო ზ ა ვ ე, მაგრამ ვიღა დაიჯერებდა.

6 სეკტემბერს ვენგრიის სატახტო ქალაქშიაც, პეშტში, დიდი ამბავი ყოფილა. შუადღის ათს საათზედ ყოველ კუთხეზედ ჩამოუკიდნიათ განცხადება, რომლითაც სამოქალაქო კომიტეტი იწვევს პეშტის მცხოვრებთა ბაირაღები გამოეფინათ და საღამოზედ მშვენიერი ჩირაღდანი გაემართათ ოსმალეთის გამარჯვების სასახელოდ. ამ განცხადებაში, რომელშიაც არა ერთი ტყუილი ურევია, მოხსენებულია შემდეგი: „მამულის შვილნო! მარადმა სამართალმა, რომელიც ხალხთა თავისუფლებისა და ბედის დამცველია, თავისი გაიტანა. ესლა აუსრულდა ვენგრიის ხალხს მისი გულითადი სურვილი და მარადი ნატვრა. ჩვენმა ძმა-ხალხმა ოსმალომ, რომელიც იბრძვის არა მარტო თვის არსებობისათვის, არამედ კაცობრიობის უწმინდესთა უფლებათათვის, გაიმარჯვა. ოსმან-ფაშამ პლევნასთან დაამარცხა არამც თუ მარტო თავის სამშობლოს მტერი, არამედ უბოროტესი მტერი ცივილიზაციისა (მალიან არ გაბრაზებულან ეს ვენგრიელები). სულეიმან-ფაშამ აღმართა და დაადგინა (ჯერ არც აღუმართავს და არც დაუდგენია, როგორც მოგეხსენებათ) შიბკაში არამც თუ მარტო ოსმალეთის დროშა, არამედ მარადის სამართალის დროშა. მეჰმედ-ფაშა მდ. იანტრაზედ ჰსდევნის რუსებს. მუხთარ-ფაშამ აზია მტრისაგან განათავისუფლა. ასეთი სახელოვანი ღვაწლი ოსმალთა მთელის კაცობრიობის მადლობის ღირსია. ვენგრიის ხალხმა უფრო ღირსეულად უნდა იდღესასწაულოს ოსმალთა გამარჯვება, რადგანაც ვენგრიის ხალხი თავიდგანვე მიუდგა ოსმალოს ხალხს, ესე იგი იმ ხალხს, რომელიც თავისუფლებას იცავდა და რომელსაც ყველა გადუდგა. პეშტის მოქალაქენო! გთხოვთ გამოფინოთ ბაირაღები თქვენ ბანებზედ და გააჩაღოთ თქვენი ფანჯრები დღეს საღამოს შვიდ საათზედ. შეიკრიბენით აგრეთვე საღამოზედ კალვინის მოედანზედ, რომ აქედამ მთელი ქალაქი დიდის ყოფით და ამბით მოვიაროთ. მამულის შვილნო! ამას წინად მწუხარებაში ვიყავით, ესლა ვისიამოვნოთ და ვილხინოთ." ამ გამოწვევამ ტყუილად არ ჩაიარა. დიდის ყოფით იდღესასწაულეს ვენგრიელებმა ეს დღე. ბოლოს მიტინგიც გაიმართა, რომელმაც მისალოცავი ტელეგრამმა გაუგზავნა ოსმან-ფაშას, სულეიმან-ფაშას, მეჰმედ-ალის, მუხთარ-ფაშას და აგრეთვე კოშუტსაც.

ვენგრიელების ამ გვარი ხმაურობა ხუმრობა არ არის ავსტრიის სახელმწიფოსათვის. ვინიცის, იქნება ვენგრიელებმა რევოლიუციაც მოუხდინონ თავის მთავრობას. ჯერ-ჯერობით კი ამ მოძრაობას და ხმაურობას დიდი სიმტკიცე და ერთობა ეტყობა. ვენგრიელებს უნდათ ჩააგონონ მთავრობას თავიანთი საპოლიტიკო გრძნობა და, ვინ იცის, იქნება აუსრულდეთ წადილი კიდეც. „ჩვენ —იწერება ერთი რუსის კორრესპონდენტი—მხოლოდ ერთი მომხრე გვყავს ავსტრიაში, სახელდობრ, ხელმწიფის კარი და ანდრაშის დიპლომატია." მაგრამ უბედურება ის არის რომ თვით მთავრობის მომხრე გაზეთები ამ გვარად ლაპარაკობენ: ერთი ცვარის დაღვრა ავსტრიის სისხლისა რუსეთის სასარგებლოდ დიდი დანაშაულობა იქმნებაო. „ამავე დროს—ამბობს ზემოხსენებული კორრესპონდენტი ბისმარკს ხელში ჰყავს ანდრაში, და მთელი მწერლობა ევროპიისა ლაპარაკობს ამ ჟამად მორიგებაზედ."

დიდ განსაცდელშია ავსტრი-ვენგრიის მთავრობა, ყოველ მხრივ უნდათ როგორმე აცდინონ და თავისაკენ ჩაითრიონ. აი, მაგალითებრ, ვენგრიის პარლამენტში რამდენიმე დეპუტატმა პასუხი მოჰსთხოვა მთავრობას გარეშე პოლიტიკის შესახებ, და რაღა თქმა უნდა, რომ ცხარი ბაასი გაიმართებოდა. ამ გვარივე წინადადებანი შეტანილ იქმნენ ავსტრიის რეიხსრატშიაც.

— გაზეთის Голосъ-ის კორრესპონდენტი იწერება, რომ ვენგრიაში რაღაც შეთქმულობა აღმოუჩენიათ, რომელსაც ჰქონია თურმე განზრახვა ვენგრიელთა ლეგიონის შედგენა და რუმინიაზედ დაცემა. ეს ლეგიონი უნდა მისდგომოდა იმ ბაში-ბუზუკებს, რომელნიც ერთს დუნაის კუნძულზედ გადვიდნენ, სილისტრიის პირ-და-პირ. ამ ჯარს უნდა დაენგრია რუმინიის რკინის გზა და ყოველის მხრით გადაეჭრათ გზა რუსის ჯარის სურსათისათვის. ამ საქმის თაოსნობა ღენერალ კლაპკასთვის ყოფილა მინდობილი. მაგრამ მთავრობას გაუგია ეს ამბავი და მით მოუსპია შეთქმულობა.

---

**ინგლისი.** სადღაა უწინდელი ინგლისი, ის ინგლისი, რომელსაც ოთხი ხუთი თვის წინად ჭკაპან-წყვეტა ედგა, ეს დალოცვილი რუსეთი ჩემს სამფლობელოში არ შამომივარდესო. ეხლა კი, როგორც ეტყობა, გულგრილად, წყნარად და გულ დინჯად შეჰსცქერის აღმოსავლეთის ომიანობას. მას ინდოეთის შიმშილი უფრო მილს უკრთობს ვიდრე ეს ომი. ომი მეთქი და არა აღმოსავლეთის საქმე, რომელშიაც ინგლისი ისევ ისე ცდილობს დაიჭიროს ჯეროვანი ადგილი და ეშინიან სხვამ არ დასწროსო. მაგრამ დავუგდოთ ყური ერთს რუსის კორრესპონდენტს (გაზეთ Сѣверный Вѣстникъ-ისას), რომელიც სხვათა შორის შემდეგს იწერება ლონდონიდამ:

„თან და თან გამოდის, რომ ევროპა ახალის თვალით უყურებს რუსეთს, და ეხლავე შეიძლება ჰსთქვას კაცმა თუ რა და რა საგანზედ მოუხდება რუსეთს შესეთქება ინგლისთან. ომის წინ რუსეთისა ეშინოდათ, მეტადრე მაშინ როცა ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა (ე. ი. რუსისა) მოჰყვა კვესნას და ტრაბახობას. დიდი პატივისცემა ჰქონდა ინგლისს რუსეთისა. ამ პატივის ცემის საბუთი სამგვარია: რუსეთის მთავრობის მშვიდობის მოყვარეობა, მისის დიპლომატიის ხერხიანობა და სამხედრო ძლიერება.

„ეს პატივის-ცემა თან და თან გულგრილობად გადაიქცა. თუმცა ომიანობაა, მაგრამ მთავრობის მშვიდობის მოყვარეობა მაინც ჰსწამთ. არავითარი ეჭვი არა აქვთ მასზედაც, რომ რუსეთის კანცლერს იგივე ნიჭი არა ჰქონდეს, როგორც უწინა ჰქონდა. მხოლოდ ინგლისის თვალით — გორჩაკოვის მიწერ-მოწერის ზურგს უკან აღარ მოჩანს ზორბა მუქარა იარაღის ძლიერებისა. რუსები იმახიანო, ამბობენ ინგლისელები, — რომ ოსმალები ჩვენის შემწეობით დგანან ისე მაგრადაო. ვჰსთქვათ, რომ ეს მართალიც იყოს და კემპბელს შემწეობა და რჩევა მიეცეს რამე მუსთარ-ფაშისათვისაო; ვჰსთქვათ, რომ ოსმალოს მხედრობაში მართლა ასი, ორასი ანუ მეტნაკლები ინგლისელი აფიცერი იპოვება, თუმცა დასაჯერებელი კი არ არისო; ვჰსთქვათ, რომ ჯარის კაცთა შორის ურევია ათასამდე ინგლისელი, — თუმცა ეს სრულიად დაუჯერებელიაო; ვჰსთქვათ კიდევ, რომ ინგლისის მთავრობა ჩუმ-ჩუმად ფულს შოულობს ოსმალეთისათვის, — რა გამოდის ვითომ აქედგანაო? თუ ამ გვარი მცირე შემწეობა უძნელებს რუსეთს საქმესაო, მაშინ რაღა იქნებოდაო ინგლისს რომ პირ და პირ თავისი ძალა წამოეყენებინაო რუსეთის წინააღმდეგაო? ცხადია, რომ რუსეთის სამხედრო ძალა სუსტიაო და ჩვენ ტყუილ-უბრალო შიში გვქონდაო ინდოეთზედ, სუეცზედ და სტამბოლზედაო. ასე ლაპარაკობენ ეხლა ლონდონში. მართალია, ამასთანავე ამბობენ, რომ ბოლოს და ბოლოს რუსეთი მაინც მოერევა ოსმალეთსაო და გამარჯვებისათვის დიდ მსხვერპლსაც დასდებსო. ხოლო ეს მსხვერპლი ისე დაასუსტებსო, რომ დიდხანს ძალას ვეღარ მოიკრებსო. თუ კი გერმანია დასუსტდა გამარჯვების შემდეგ, რუსეთს რაღა მოუვაო. წარმოიდგინეთ ეხლა ამგვარის ლაპარაკის გამგონეს რუსს რა რიგად უნდა ეტკინოს გული. ერთი ნუგეშიღა დაგვრჩენია ჩვენ (ე. ი. რუსებს), რომ შერიგების დროს რუსეთს უფრო მომეტებული კეთილის-მყოფელი გამოუჩნდება, ვიდრე ომის დასაწყისში იყო.“

„ინგლისის გაზეთი Observer ამბობს: მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მალე გათავდეს ომიანობა, სახელდობრ, თუ ავსტრია და გერმანია დარწმუნდებიან რომ რუსეთი უძლურია და გამოაცხადებენ საჯაროდ რომ რუსეთის საშველად მზად არიან.

---

## კუტული ქართველთ ყლაპია

ერთს მშვენიერს ლექსში ჩვენი პოეტი აღტაცებით წარმოსთქვამს:

„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა,
ერთ პურადი, გულადი მოყვარე თავის მიწისა
მაგ-დღეთა გვარა შეჰსცვალეს მის გული ანდამანტისა,
იგივ მხნე, იგივ მღერალი მებრძოლე თავის ბედისა.“

ვაიმე ჩვენო პოეტო! დღეს ჩვენ გულწრფელად უნდა მოუგდოთ ამ გრძნობით სავსე პოეტს, რომ საქართველო აღარ არის თურმე და მარტო იმის ოცნებაში არსე-

ბობს; რომ საქართველო გეოგრაფიულ სახელადაც აღარ იხსენება; რომ საქართველო გაყიდულია და ქართველებს მეტი აღარა დარჩენიათ რა. ამ დაუდგრომელ წუთის სოფელში, რომ უნდა გასომხდენ. მკითხველი გაოცებით იკითხავს, ნუ თუ ეს ყოველივე მართალია, ნუ თუ მართლა მთელი საქართველო გაყიდულია და სხვის ტომის კაცებთ ხელშია? ეს თურმე ასრე ყოფილა. ჩვენ თურმე ჩვენს პოეტ-სავით აქამომდე ცაში დავფრინავდით და მიწა კი ფეხქვე-დამ გამოგვსხლტომია. ამას გვიმტკიცებს უ. კუტული. კორრესპონდენტი საფრანგეთის გაზეთისა „Temps“ და იმის ჩამბერველნი უ. გრიგოლ არწრუნი, რედაქტორი სომხურის გაზეთის „მშაკისა“ და იმის „შკოლა-მოძღვრება“.

ჩვეულობისა მებრ ევროპიის ჟურნალ-გაზეთობისა, გაზეთს „Temps“ გამოუგზავნია ომის ამბების შესატყობ-ლად ჩვენკენ კორრესპონდენტად უ. კუტული. მას გა-მოუვლია ოდესაში, საიდამაც გრ. ლევაშოვის რეკომენდა-ციის წერილი წამოუღია ვიღაცეებთან და მობრძანებულა ტფილისში და აქედამ წაბრძანებულა საომარს ველზედ. გაგ-კავს რომ უახლოვდება ის, რასაკვირველია, განცვიფრებით შეჰყურებს კავკასიის ქედს, სადაც პრომეტე, ეს ჩვენი ადა-მიანების მხსნელი წინაპარი მიჭედილი იყო და არწივი მუდამ დღეს სტანჯავდა და სწეწდა. კუტულიმ გადმოიარა კავკასიის მთები და ერთის კალმის მოსმით გააქრისტიანა ყველა ოსები, რომელნიც თითქმის წმინდა ნემეცურს ენაზე ლაპარაკობენო, აქ მოდით, ნემეცურად და ოსურად ერთ-ნაირად გამოითქმისო, ჰსწერს უ. კუტული. ოსების მე-ზობლად მცხოვრებთ ჩერქეზების სახელი უ. კუტუ-ლის გამოჰყავს ორის ლექსიდგან, რომელნიც ითარგმნება ვითომ „თავი მოსჭრილი“. ის ჩერქეზებად ჰსთვლის აფხაზებსაც, და ესენიც იმავე კალმის მოსმით სულ ყვე-ლანი გაუმაჰმადიანებია.

ბალტაში მას შეხვედრია ვიღაც აფიცერი არტი-ლერიისა, შემახიელი სომეხი, M—r X.. ამ აფიცერს უამბნია ისტორია, ეტნოგრაფია, გეოგრაფია, ეკონომიუ-რი და სტატისტიკური მდგომარეობა კავკასიის ამიერ მცხოვრებელთ ხალხთა. რადგანაც უფ. კუტულისთვის ცხენები არ მიუციათ, ამ სომეხს თავისთან „პოკოზკაში“ ჩაუსვამს და მოუყვანია ტფილისში. აქ არტილერისტი გააცნობს მას სხვათა შორის უ. გრ. არწრუნს, რომელიც უ. კუტულის სიტყვით, „ლიბერალთ დასისა წინამძღო-მია, და თუმც სასულიერო წოდებას არ ეკუთვნის, მაგრამ სომხებთა შორის იმავე როლს თამაშობს, როგორსაც დელლინგერი და მამა ლიაცინტი კათოლიკებთ შორის და რომელსაც უკეთ ესმის სომხეთ სასულიერო წერილი, ვიდრე თვით კათოლიკოზსაო.“ თუმცა უ. კუტულის ძალიან ეშუ-რება „დაესწროს ყარსის აღებაზე“ მაგრამ, რადგანაც მას და იმის ახალთ ნაცნობებს ჰსურთ აღძრან ევროპაში აღმო-სავლეთის საქმესთან სომხების საქმეც, ის რჩება ტფი-ლისში და შეუდგება აქაურ ხალხების შესწავლას. უ. კუ-ტული ჯერ აცნობებს თავის მკითხველებს, რომ უ არწრუ-ნი კეთილ-შობილურ შთამომავლობისა არის, რასაც გვიმ-ტკიცებს ვითომ მისის გვარის დაბოლოება „უნი“ *); რომ იგი აღზრდილია ჯერ მოსკოვში, პეტერბურგში და მერე ჰეი-დელბერგში; რომ იგი ძალიან განვითარებულია ფილოსოფი-აში; რომ მისიძმა გერმანიაში პროფესორია და თვითონ გი რედაქტორი არწრუნი წევრია (ხმის-მქონე) და წინამძღომი ლიბერალურ დასისა ტფილისის პატარა პარლამენტში, დუმაში, სადაც ამ საკვირველს პუბლიცისტს უ. არწრუნს მიჰყავს უ. კუტულიც. დუმაში გამგეობის მწევრნი მას მინისტრებად მოეჩვენა და ხმის მქონენი, ნამეტნავად უ. არწრუნი თავისის დასით ოპპოზიციად. თუმცა უ. კუტუ-ლის არ ესმოდა რაზე იყო იქ სჯა და საუბარი, მაგრამ ის მაინც ძალიან აქებს ხმის-მქონეთა ორატორობის ნიჭსა. ერთი ამ ორატორებთაგანი მან უ. კუტულიმ გამოჩენილ საფრანგეთის დეპუტატად ნაკეთ იცნა, მაგრამ წარმოიდ-გინეთ იმისი გაოცება, როდესაც აღმოჩნდა, რომ ის ბატონი ნაკე კი არა ყოფილა, ზელცერის წყლის გამყი-დველი ყოფილა ტფილისში!

დუმიდამ უ. არწრუნს უ კუტული მიჰყავს სომხე-ბის ეკლესიებში, სადაც ამ უკანასკნელს უკვირს მღვდლე-ბის (ტერტერების) მშვენიერი და ძვირფასი სამოსელი; საყდრებიდან შედიან სომხის სასწავლებლებში, სადაც კუ-ტულის მოჰხსწონს მშვენიერნი სომეხთ მოსწავლე ქალე-ბის თვალები, თუმცა მათის სახის სილამაზეზე კი ბო-დიშს იხდის, უკაცრავოთაო. მერე მიდიან ალექსანდროვის ბაღში, სადაც უ. კუტული კარგ ქეიფზეა და დიდხანს ეთამაშება პატარა დათვის ბელს, მიშკას; შემდეგ ამის-ბელადი უ. არწრუნი გააცნობს უ. კუტულს თავის მე-

---

*) აქ არ არის ადგილი არისტოკრატობაზე ლაპარაკისა. ჩვენ შევნიშნოთ მხოლოდ ის წადილი ძმმზიდველობა უ. არწრუნისა და მისი „შკოლისა“ რომ არისტოკრატობას ჰსჩენობენ და ძალიან-ნაც მოუწადინებიათ.

გობრეხს, უ. ან. იონისიანცს — რედაქტორს „პორძისას,“ რომელიც არავითარ შემოსავალს არ აძლევს იმის გამომცემელსაო,“ ამბობს უ. კუტული. გააცნობს უ. ბებუთოვს, რომლის კეთილ-მობილურ შთამომავლობაზე უ. კუტული არაფერს ამბობს და რომელიც ვერაფრად მოჰსწონებია, ვინაიდგან იგი ფრანციულად კარგად ვერ მუსაიფობსო და რუსულს ენაზე ჰბეჭდავს „ტფილისის მოამბესო.“ მერე ამ დაუღალავს ბელადს უ. არწრუნს შეჰყავს უ. კუტული თავის ნაცნობების წრეში, სადაც არწრუნის სტუმარს სხვებზე უფრო მოსწონებია ერთი ყმაწვილი კაცი, დუმის სეკრეტარი, რომელიც ფრანციულად თავისუფლად ლაპარაკობსო.“ *) ეს წრე უმართავს უ. კუტულს სადილებს, ლხინს, რომანსების მღერას, ბალებში შექცევას და თვითეულის ამის შემდეგ კბილის ჩასამტკბარუნებლად შეუდგებიან მაღალ საგნებზე რიტორებით მუსაიფს. ხანდისხან კი ჰსჩივის უფ. კუტული, რომ ეს არის იმ გვარ შექცევისაგან დავბრუნდიო, და კალამისათვის ვერ მომიკიდია ხელიო, ასრე არეული მაქვს ჰაზრებიო. ყოველგან სადაც ლხინს დასწრებია, მისთვის მიურთმევიათ მშვენიერი სომხური საჭმელები; კუტული ველარ ითმენს, და აღტაცებით ამბობს, რომ „უთუოდ ედემი სომხეთში ყოფილაო“. მერე მიიწვევს მას შინდისში უფ. გურგინბეკოვი, სადაც რაღაც დღეობა ყოფილა. აქ სულ აღტაცებულა უფ. კორრესპონდენტი, მხოლოდ ერთს რასმეს დაუმწარებია ამისი ქეიფი: აქაურ ქალებს, მისის სიტყვით, ისეთი დიდი ცხვირები ჰქონიათ, როგორც მთის ქედი. მაგრამ აქაც იმის ჩამბერველებს დარბაისლურად და გულწრფელად აუხსნიათ მისთვის, რომ დიდ ცხვირიანი ქალები სულ ქართველები არიანო. ტფილისის ქალების სილამაზე ზღაპარი,მითი არისო,ამბობს ამის შემდეგ უ. კუტული. რაღა გაგაგრძელოთ, უ. კუტული ტფილისელ სომხების სტუმარ-მოყვარეობით, თავაზიანობით და დარბაისლობით აღტაცებულია. ტფილისი სამოთხე იქნებოდაო,ამბობს იგი, თუ ივანობისთვეში ასე არ ცხელოდეს და თუ ასე მცირე არ იყოს აბანოები, სადაც სამი მანეთი გამომართვესო. ქართველთაგან მას მხოლოდ ერთი კაცი გაუცვნია ივანე ადამოვიჩი ფორაქოვი, რომელიც თუმცა ქართველობის ტიპი არ არისო, რადგანაც გაჰქრობსო, მაგრამ არ ვიცით, რად უძღვნია მთელი ერთი კორრესპონდენცია მას და მისის სადილის აღწერისათვის. არც ის ვიცით, რა ჰაზრით უკითხავთ უ ფორაქოვისათვის „ურიები ჰსცხოვრებენ ტფილისში, თუ არა?„ და არც ის ვიცით რა ჰაზრით წარმოუთქმევინებენ მას ამის პასუხად შემდეგს: „თქვენ მკითხავთ, ურიები ჰსცხოვრებენ, ტფილისში თუ არაო; „როგორ არა, განა სომხები ურიები არ არიანო?„ ჩვენ არა გვაქვს ცნობა უ. ფორაქოვისა და არც არა რაიმე გაგვიგონია მის მოღვაწეობაზედ და გამოჩენაზედ საზოგადო საქმეში. ჩვენ აქ მხოლოდ ერთს რასმეს შევნიშნავთ: როდესაც უფ. ფორაქოვი წაიკითხავს,—რა გვარად აუწერია იგი უფ. კუტულს, არა მგონია კმაყოფილი დარჩეს, რომ უფ. კუტული სტუმრად ჰყოლია მიწვეული.

ეხლა გამოვიკვლიოთ უფ. კუტულის ჰაზრი შესახებ ჩვენის აწმყოისა და მომავალის მდგომარეობისა. იგი ამ საგანზედ მოგვითხრობს გრძლად ამბავს მთელის ერთის თვის „Temps“-ის ნომრებში. ამ საგანზედ საჭირო ცნობები, რასაკვირველია მიურთმევია მისთვის ზემოხსენებულთ წრეს იმ სტუმართ მოყვარეთ სომხებისას.

კავკასიის ამიერ ოთხის გვარ-ტომის ხალხი ირიცხებაო: სომხები, ქართველები, თათრები და რუსებიო. თუმცა სომხების რიცხვი ქართველებზე ცოტა ნაკლებიაო, სულ 600 ათასიაო, მაგრამ ამ საუკუნეს დაბოლოებამდის ისინი მალე გამრავლდებიანო და ქართველებზე უფრო მეტნი შეიქნებიანო. სომხები შეადგენენ მესამე წოდებას, Tiers états კავკასიაშიო; ამათ ხელშიაო ვაჭრობა, ყველაფერის მოხელობა, წარმოება; ისინი არიან ექიმები, ადვოკატები და თავისუფალ საქმისა და ხელობის კაცები; მათ აქვთო შკოლები, ჟურნალ-გაზეთები, პატარა ტფილისის პარლამენტი და სხ. ამ უკანასკნელ დროს იმათგანი სამხედრო სამსახურშიაც ბევრნი შედიანო. მადათოვი, ბებუთოვი, არგუთინსკი, ლორის-მელიქოვი, ლაზარევი, ალხაზოვი, ტერღუკასოვი, ეს ღენერლები სულ სომეხთა ტომმა მისცა რუსის მხედრობასაო. *) ერთი ამ

---

*) უ. კუტული არ მოგვითხრობს, გაიცნო თუ არა პატივცემული „მეღუს“ რედაქტორიც? ჩვენ კი ვფიქრობთ ამაზედ, მით უმეტეს რომ თვით უფ. კუტული ამბობს: როდესაც ლიბერალურ საერო დასის წინამძღომელს, უ. არწრუნს შეხვდება სადმე კლერიკალურის გაზეთის „მეღუს“ რედაქტორიო, ისინი ერთმანერთს მხარს უქცევენო და ერთმანერთს არ მიესალმიანო.

*) აქ ჩვენ უნებლიეთ მოგვაგონდა ერთი მეგრელის თავადის შვილის გოდება ოდიშის ბედზე: „მართლა, ჩვენ სულელად გუბედურები ვართო, ქართველები კი დაწინაურებულნი არიანო იმიტომ, რომ ღენერლები იმათ ბევრნი ჰყავთო და ჩვენ კი სრულიად არაო.“ Ses beaux esprits de rencontrent, ამბობს ერთი ფრანციული ანდაზა.

წარჩინებულ ღენერალთაგანი ლაზარევი, ძლიერ შესანიშნავი სარდალიაო: მან, როდესაც სხვებმა შიშით უარი სთქვეს, გაბედა შამილთან გუნიბში შესვლა და მოჰგვარა ბარიატინსკისაო. ლაზარევიო ადრე თურმე თერძად ყოფილა, მოგვითხრობს უფ. გუტული: შემდეგ სამხედრო სამსახურში შესულა და ღენერლობა უშოვნია, მაგრამ ქართველის თავადების შურით ის საბრალო ეხლა გადაყენებულია და ბაქოში სცხოვრებს უსამსახუროდაო. წარმოიდგინეთ, როგორ გაიტაცებდა უფ. გუტულს ფანტაზია: მას მაშინვე წარმოუდგებოდა ჯონსონი, ამერიკის შეერთებულის შტატების პრეზიდენტი, რომელმაც თერძის ხელობიდამ დაიწყო თავისი აღმატება! უფ. გუტული ჩამოგვსთვლის ყველას, ვინც კი ყოფილა გამოჩენილი სომეხთაგანი მეცნიერებაში, ხელოვნებაში თუ სხვა რაიმე ასპარეზზედ მაგრამ სამწუხაროდ უფ. არწრუნისა უნდა აღვიაროთ, რომ ეს გამოჩენილნი კაცნი მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში გოლიათებად არავისგან არ ირიცხებიან *). ამის შემდეგ უ. გუტულის, რასაკვირველია, სრულებით „აღეხვნა თვალნი“ და ვითა წინასწარ-მეტყველი ღაღადებს: მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნისო და მის მეზობლებს ორის ტომის ხალხს—ქართველებს და თათრებს სხვა არა დარჩენიათ რაო, რომ უნდა გასომხდნენო.

(შემდეგი იქნება).

ვაკელი.

---

## საფათნაფას ლექსი

ბაღი ბულბულით ავსილა, ვარდს ფკალი არ აკლია,
გაფურჩილა ია გარდი, ზედ ლამაზიც არ აკლია,
უცხოდ ხარობს იასამანი, მირსა ვაზიც არ აკლია.
მეიდანი გამართული, ქანდირ-ბაზიც არ აკლია.

რადგან სოფელსა ასე მოსდევს, ულხინოთაც არ იქნება,
შენი ქება, შენი ხვეწნა, უქენოთაც არ იქნება.
მარანის ტუმბო სავსეა, უდენოთაც არ იქნება,
მეჯლიში გამართულია, უშენოთაც არ იქნება.
სულ ქვეყანა ჩვენსა არის, რომ ბაზაზიც არ აკლია.

არ გეწყინოს ჩემო კარგო, სიტყვაშიაც იგავი მაქვს,
რომელ ერთი განაცვალო, ნეტარ რამდენი თავი მაქვს,
მუდამ თქვენს სამსახურში ვარ, არა სთქვა პირი შავი მაქვს;
ამაღამ ჩვენსა მობძანდი, ერთი კარგი ამბავი მაქვს,
წმინდა სანთლები შამდანში, ზირანდაზიც არ აკლია.

ხელმწიფესაც არ უქნია როსტომ ზაალისათვინა,
ნიშნობა კაი ქორწილი, თავისის ქალისათვინა,
რაც რომ გარდამხდა თავზედა, ტანად მაგალისათვინა,
ნეისა ქამანჩისა დუხტარ ყავალისათვინა.
ტრიალებს ოქროს თასები, ლეილემ ლაზიც არ აკლია.

ტანი ტუროვა ლელწამს გიგავს, მორთული ქირმაშალშია,
პირი ასხე მთვარეს გიგავს, ჰინდის პილპილი ხალშია,
ნაქები ხარ, იაგუნდშია, ალმასშია და ლალშია,
თუ ჩვენსა არ მობძანდები წავიდეთ სამართალშია.
საფათნავას სახელმწიფოო, შაჰბაზ ყენიც ირაკლია.

---

## დიდოელების არეულობა და კახეთი

(შემდეგი) (*)

16, 17, 18, თიბათვეს.—16 თიბათვეს დილით ოთ საათზედ ჯარი გაემგზავრა ასახოსაკენ. როგორც ეხლა, აგრეთვე წინადაც მოწინავე ჯარი შესდგებოდა ქართველის და თუშის მილიციისაგან, რომელთაც წინ-წაიძღოლებდნენ ხოლმე,—უკან რუსი მისდევდათ.

სოფელი ასახო მდებარეობს ერთს ტინიან მთაზედ, რომელსაც ორს მხარეს დიდი ხევები ჩამოუდის, სოფელი გორაკანზედ არის აშენებული,—შიგ სცხოვრებს ას კომლამდე დიდო, სახლები აშენებულები აქვთ ყორით, სახლი სახლზედ არის მიკრული და თითქმის ყოველს სახლს თავისი კოშკი აქვს. ეს კოშკები აშენებულია ქვითა და ტალახით. ამბობენ ეს სოფელი თავის დღეში ძალით არ აღებულა. როდესაც კი ჯარი მისულა, ასახოე-

---

*) ამ გამოჩენილ კაცების ჩამოთვლაში ბელიზარიც, იუსტინიანეს დიდი სარდალი და გერგეი, ვენგრიელების სარდალი სომხებად გარდაქცეულან! ეს იმასა ჰგავს, რომ ერთი ნასწავლი სომეხი ამტკიცებდა აია-სოფიის ტაძარი სტამბოლში სომხის არხიტექტორის აშენებულიაო, თუმცა დასამტკიცებლად ამისა იმისთანავე ძლიერი საბუთი ჰქონდა, როგორც უფ. გუტულის ქართველების გასომხებისა.

*) „ივერია“ №№ 27, 28 და 29.

ლების თავი დაუკრავთ და ჯარი უომრად მიუღიათ. ასახოს აღებას ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს სოფელი ითვლება ყველაზედ მაგარ და შეუვალ სოფლად მთელ დიდოში. დანარჩენი დიდოელები და საზოგადოდ დაღისტნელები ამ სოფლის აღებას შეჰყურებდნენ, ეგონათ რუსის ზარბაზანს გაუძნელდებოდა ამისი დანგრევა და მცოდნე კაცნი სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თუ ამ სოფლის აღება გაძნელდებოდა, მაშინ იქმნება ბევრნი სხვანიც გამდგარიყვნენ, ყველა იმისაგამო თ. ნაკაშიძემ მთელი თავისი ძალა ამ სოფელს მიჰმართა.

სამსავე მხარეს ჯარი შემოერტყა ასახოს, ისე მოშორებით კი, რომ იმათი თოფი ჩვენ ვერას გვამზნევდა ჩვენი კი კარგად მიდიოდა. რა შემოერტყა ჯარი, მაშინათვე ჩვენებმა გაუგზავნეს შუა კაცები და სთხოვდნენ თავიანთ ნებით გამოსულიყვნენ და დაჰმორჩილებოდნენ, მაგრამ უარი შემოუთვალეს. შეუდგნენ საქმეს. დარი კარგი იდგა,—იმ სერებიდამ სადაც ჯარი იყო დაყენებული ასახო სრულიად სჩანდა. დავზვერეთ ჩვენ, მაგრამ დაგვზვერეს იმათაც,—ხშირად ტურებსავით გადმოდგებოდნენ ბანებზედ და გვლანძღავდნენ რაც შეეძლოთ, ქართულს, ლეკურს და ზოგჯერ რუსულ ენაზედაც. მიუმარჯვეს რუსებმა თოფები და რა გამოჩნდებოდნენ ბანებზედ, ანუ ქუჩებზედ, მაშინათვე ყირამალა გადატრიალდებოდნენ ხოლმე. თუმცა მალე მიჰხვდნენ ასახოელები, რომ რუსის ტყვია ადვილად მიდიოდა იმათამდე და რამდენიმე კაციც თვალ-წინ გაუგორეს, მაგრამ ამით მაინც არ შაშინდნენ. ისევ-ისე თამამად გადმოხტებოდნენ ბანზედ, გამოგვიგზავნიდნენ მაღალის ხმით ლოცვა-კურთხევას და ისევ შეცვივდებოდნენ; ხან კიდევ ჩვენს გასაჯავრებლად ჩამოაცვავდნენ ხოლმე ჯოხზედ კაცის, ანუ დედა-კაცის ტანისამოსს და გამოჰკიდოდნენ ბანზედ. ჩვენც პირველში ნამდვილ ადამიანად გვეგონენ ეს ჯოჯოები და ვესროდით რაც შეგვეძლო, ბოლოს კი მივხვდით. დიდოელთაგანნი კაცი, დედაკაცი სულ ერთგვარად იქცეოდნენ. საცოდავი დედა-კაცები გამოდიოდნენ ბანებზედ, თითქოს სეირის საყურებლადაო და თუმცა ბევრი იმათგანი მარჯვე ტყვიისაგან იქვე გადიქცეოდნენ ხოლმე, მაგრამ მაინც იმათ ფეხი არ ამოკვეთეს.

ასახოს აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩამოუდის დიდი ხევები,—ხევ-გადმა აღმოსავლეთით მდებარებს სოფელი აქტო, იგივე აგდა. ამ სოფელს პირველშივე მიუსიეს ლეკები, რომლებთაც ძალიან მალე და ადვილად აიღეს, რადგან შიგ არავინ იმყოფებოდა; დაიჭირეს ეს მხარე; სამხრეთით ხევ-გადმოღმა იმყოფებოდნენ თვით ატრიადის უფროსები ბლომა ჯარით და არტილლერიით, დასავლეთის მხარე ეჭირათ ქართვლის და თუშ-ფშავლის მილიციას.

არტილლერია შეუდგა თავის საქმეს: დაიწყეს ოთხის ზარბაზნით სროლა, ასტყდა საშინელი გრიალი. მიდიოდა და მიდიოდა ზარბაზნის ტყვია, მომატებული ნაწილი უქმად,—ესე იგი უადგილო ადგილას სცემდა და რომელიც კიდევ ჰხვდებოდა ციხეებს მაგთვენს ვერას აკლებდა, მაგრამ იქ გამაგრებულ ერთ მუჭა ხალხს,—ეს ზარბაზნის ხმაც ეყოფოდა.

არტილლერიის პოდპოლკოვნიკი თ. მარკოზიძე ყოჩაღად იქცეოდა, მაგრამ მაგთვენს ვერას აკლებდა ასახოს ციხეებს. ორი ზარბაზანი სოფ. აქტოში გადიტანა და იქიდამ მოუმართა. საღამომდინ სროლა არ შემდგარა. ასახოელები მაინც ყოჩაღად იყვნენ; ზარბაზნებმა ვერ შააშინეს.

გათენდა 17 მკათათვე. დარჩომილი ორი ზარბაზანი გადიტანეს დასავლეთის მხარეს და გაუმართეს იმ ადგილიდამ, სადაც ქართული მილიცია იდგა. გარიჟრაჟასავე უმალ მოისმოდა ასახოდამ ძახილი; ჩვენ ყური ვათხოვეთ: ხალხი ითხოვდა შებრალებას და მზად იყო დასამორჩილებლად. სროლა შეაყენეს, გაუგზავნეს ელჩები და მართლადაც მომატებულმა ნაწილმა დასტოვა ასახო და გამოვიდნენ ჩვენთან. სულ 211 სული იყო, იმათში მამაკაცი 55, დანარჩენნი დედა-კაცები და წვრილ-ფეხობა იყო. იმათი მოთავე ყურბან-მუსაც მოზმანდა, ამით მაინც არ გათავდა ასახოსთან ომი. კიდევ დარჩნენ იქ 30-მდე გაჟკაცები, რომელნიც მუქარეებს გვიგზავნიდნენ და იქ გვეპატიჟებოდნენ. დაიწყეს თავიანთი საქმე ზარბაზნებმა. ამ ორის დღის განმავლობაში ზარბაზნებმა 300 ყუმბარა უთავაზეს ასახოს ციხეებს და ძლივს ორი კუთხე მოუნგრიეს ორს ციხეს. დანაშთენი ციხეები და საჩქარო ხელ-უხლებელი იყო.

ბოლოს დაიძახეს, იერიშიო, მაგრამ ისე ფიცხლად ვერავინ გაბედა, როგორც უბძანებდნენ. ბოლოს ჯერ ფშაველებმა გაბედეს—შაცვივდნენ ასახოში და ამათ ქართველები და თუშებიც მიჰყვნენ. დიდოელები გამაგრებულიყვნენ მხოლოდ ერთს ციხეში,—დანაშთენი ციხეები და სოფელი ცარიელი იყო. გააჩინეს ცეცხლი, მოუკიდეს ამ ციხესაც სადაც დიდოელები გამაგრებული იყვნენ, შემოერტყნენ გარს ჯარი, ბევრი სთხოვეს იქ მყოფ დიდოელებს დამორჩილება და გამოსვლა, მაგრამ შენ არ მამიკვდე: „მამაჩვენებიც რუსებისაგან არიან დახოცილები და ჩვენც რუსებმა დაგვხოცონო“ ეპასუხნათ დიდოელებსა. მოუდეს ცეცხლი ამ ციხესაც. ძირის სართული ცეცხლმა დაიჭირა,—მაგრამ შეუპოვარი ასახოელები აცვიდნენ მეორე სართულში, ილანძღებოდნენ და ისროდნენ თოფებს. გაჩნდა ცეცხლი მეორე სართულშიაც, ასახოელები აცვივდნენ მესამე სართულში. ციხიდამ მოისმოდა ბავშვების ტირილი, დედა-კაცების წივილ-კივილი. ეხვეწებოდნენ ჩვენები წვრილ-ფეხობა და დედა-კაცები მაინც გამოუშვითო, მაგრამ ვერა შეაგონეს რა. ავიდა ცეცხლი მესამე სართულშიაც, ამითაც არ შეშინდნენ ასახოელები. ყველა ღონე რომ გამოელიათ, იშვირეს ფეხი და ჩაცვივდნენ ცეცხლში; გარეშე გამოხეთქა კაცის სისხლმა და ქონმა. ორი პატარა ბავშვი ძლივ გამოიტაცეს ჩვენებმა ცეცხლიდამ. ერთი იმათგანი ძალიან დამწვარი იყო და მალე მოკვდა, მეორე კი დღესაც ცოცხალია. დანაშთენები ცეცხლში დაიწვნენ. ამით გათავდა ასახოს აღება. იმ ღამეს ჯარი სოფელში დარჩა,—მეორე დღეს, ესე იგი 1 მკათათვეს, გაიგზავნა ჯარი სახლების დასანგრევად და დასაწვავად. საშინელება იყო 1ა და 17. კარგად ცხადად დავინახეთ რომ ერთმა კაცმა თავის ხელით წაუკიდა ცეცხლი თავის სახლს პურით სავსეს და შემდეგ თითონაც დაიცა ხანჯალი და მოიკლა თავი. მრავალი დედა-კაცი შესაზარის ყვირილით გადავარდა კლდეში. ერთმა იმათგანმა ყელები დასჭრა ორს თავის პაწაწა შვილებს და შემდეგ გადავარდა კლდეში. საშინელება იყო. მრავალი ავეჯი და ნამეტნავად პური დალუპა ცეცხლმა.

მაშინ, როდესაც ეს ამბავი იყო ასახოს გარეშემო[...] აი რა სურათს ვხედავდით: თუშები და ავარელნი, რომელნიც თ. ნაკაშიძის ჯარში იყვნენ, თავიანთ ქონების შემატებას დაუფიქრდნენ: აქაო და ჩვენ ყურს არავინ გვიგდებსო, გავიდნენ ასახოს სერებზედ, მოაგროვეს რაც კი იქ ცხვარი, ცხენი, ძროხა და ჯორები იყვნ[ენ] და გაამგზავრეს თავიანთ სახლებისაკენ. საცოდავ მწყემსებს ტყუილად ჩამოსდიოდათ ღაპა-ღუპით ცრემლები და ტყუილად შეხჩიოდნენ მეუფროსეებს,—იმათი და აგრეთვე თვით დიდოელების ცხვარი, ძროხა, ცხენი სულ ავარიელებმა, ანდიელებმა, ლეკებმა და თუშებმა წაასხ[ეს] თავიანთვის. საწყალ მწყემსებს რაც დიდოელებმა დააკლეს ამათ აუსრულეს. რისაც გარეკა შესძლეს, ხომ გარეკეს და დანაშთენი რაც მასლობლად იყო და მალვით გარეკა იმათი არ შეიძლებოდა, მორეკეს ავარელებმა ჩვენ[...] ბანაკში და ჩვენ თვალ წინ ჩვენსავე ცხვრებს ჰხოცდნენ, სჭამდნენ რაც შეეძლოთ, და რასაც ვერ ერეოდნენ, ჰყიდდნენ მედუქნეებზედ და სხვებზედ—დაკლულ ცხვარს უტყაოდ შაურად და ორ შაურად, ფეხ-და-ფეხ მანეთად და ოთხ აბაზად. მთელი ჩვენი ბანაკი მოიფინა ლეშით, შინაგანებით, აყროლდა იქაურობა. ვერაფერი გავაწყეთ ჩვენს ჯარშივე მყოფ ავარელებ და ანდელებ ლეკებთან, ვერა გვარი ბრძანება ვერ შეასმინეს-ჰხოცდნენ და ჰხოცდნენ რაც შეეძლოთ. ნაიბები, თუ სხვანი დასეირნობდნენ ჩვენის ცხენებით, მაგრამ იმათ ჩვენ ვერა დავახწიეთ[...] რა. ერთის სიტყვით მთელი ქართველობის ცხვარი თუ ცხენი რაიც გადარჩომოდათ დიდოელებს სულ ჩვენთანვე მყოფის ლეკების და თუშების ძალად შეიქმნა. უნდა გეყურებინათ მემცხვარეებისა აღტაცების და სიხარულისათვის,—როდესაც მათ თავიანთი ცხვარი დაინახეს და შემდეგ კიდევ იმათი ცხარე ცრემლებისათვის, როდესაც დაინახეს, რომ ჭირითა და ვაი-ვაგლახით მათს მონაშენს საქონელს, ისე შეუპოვრად და დაუზოგველად ჟლეტდნენ.

დიდის ვაი-ვაგლახით წაართმევინა თ. გ. ჯორჯაძემ ლეკებს 4600 სული ცხვარი და თანხმად მეუფროსეს მოწერილობისა, დაუყო ეს ცხვარი იქ მყოფ მეპატრონეებს, მაგრამ ვის რა გაჰხვდებოდა. დანაკარგი ცხვარი მარტო იქ მყოფ პატრონებისა 28,000 სულს

ალექსტებოდა და აბა ეს 4600 ვის რა გაჰსწვდებოდა!

თ. ნაკაშიძე ამშვიდებდა მწყემსებს იმ იმედით, რომ მმართებლობა დაგაკმაყოფილებთო,

19, 20 და 21 ჯარი ისევ ასახოს თავზედ იდგა. 211 სული დიდოელნი გაგზავნეს შურაში, თ. მელიქიშვილთან.

22 მკათათვეს ჯარი, თანხმად მოსულის განკარგულებისა, ისევ გაიყო ორ ნაწილად: თავადი ნაკაშიძე თავის ჯარით გაემგზავრება დაღისტნისაკენ,—თ. ჯორჯაძე კახეთისკენ.

ამ დღეს თ. ჯორჯაძის ჯარს მოემატა ერთი მშვენივრად გამართული და გამოწყობილი ჯარი ქართველებისა რიცხვით ას ორმოც-და-ათი. ამათ მეთაურობას, მაიორს თ. ნიკო დიმიტრის ძეს ვაჩნაძეს, კაცს ნაქებს ვაჟკაცობითა და დაღისტნის ომში გამოცდილებითა, სულ შვიდის დღის განმავლობაში ისე მშვენივრად გაემართა ეს ას ორმოც-და-ათი კახელი გლეხი კაცები, რომ ვერც ერთი დიდხნით ნაწვრთნი როტა ვერ შეედრებოდა. ისინი იყვნენ გაწყობილნი რუსულის შტუცრის თოფებით, რომელსაც მშვენივრად ხმარობდნენ. თელაველებს ამათთვინაც ყურადღება აღმოეჩინათ: თამბაქო და კიდევ სხვა წვრილმალეულობა შეეთავაზებინათ. ძალიან მოწყენით დაბრუნდნენ უკანვე,—გულით უნდოდათ საქმეში გამოეცადნათ თავიანთი ვაჟკაცობა, მაგრამ გვიანღა იყო.

27 მკათათვეს. თ. ჯორჯაძის ჯარი კახეთში ჩამოვიდა და 29-ს თანხმად მოსულის ბრძანებისა,—ქართული მილიცია დაიშალა და რუსის ჯარი სხვა და სხვა ალაგს გაიგზავნა. გათავდა ლაშქრობა,-დაიმორჩილეს დიდოელები. მართალია ასწო აილეს,—ცოტაოდნად დაანგრიეს, 211 სული რუსეთისაკენ გაგზავნეს, მაგრამ დიდოელები ისევ თავის ალაგს დარჩნენ.—იმედია, ჩვეულებისამებრ ხანამ დიდო გამაძღარია თავის კარესთან იქმნება წამოწოლილი და რადესაც მოჰშივა—ისევ გამოილაშქრებს და წაიტაცებს ქართველების ქონებას. დიდოელები თავის დღეში არ მოუსვენებენ კახეთს.

დაპირებისა გამო, ეხლა მოგახსენებ, მკითხველო, მიზეზებს, რომლისაგამოც—დიდოელები აჯანყდნენ. ხალხში ბევრს ლაპარაკობენ, ცილისწამება, ჩვეულებრივ, ბევრზედ არის. ესეც კი უნდა გახსოვდეს, მკითხველო, რომ ჩვენ, ერთობ ქართველობაში საშინელი ჯაბრობა და შურის ძიება სუფევს. თუ დაგინახე, რომ ჩემი მეზობელი უჭკვო კაცი არ არის, რიგიანად მიჰყავს თავისი თუ სხვისი საქმე და პატარა ზურგი მაგარი აქვს,—თქვენი მტერი იყოს, რომ მე იმას საძაგებელი, მაყნივებელი, შესარცხვენი და სალანძღველი ჭორი და ცილი არ მოვაკლო. რას არ მოუგონებ და რა მეცადინეობას არ მივიღებ, რომ ის დავამხო, დავღუპო, სახელი გაუჩირქიანო: ამის მაგალითი ბევრია ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ.

პირველშივე მოისმა ხმა-თუ არა, დიდოელები გადგნენო, მაშინვე მიზეზად ის დასახეს, რომ თ. გ. ჯორჯაძემ საძოვარი ადგილები ჩამოართვაო,—და იმიტომ გადგნენო, რომ გიორგის ჯორჯაძის ოჯახი დაღუპონო და, რა ენისელში ჩამოვლენ, რათქმა უნდა სხვებსაც არას დააკლებენო და აბა რისთვის უნდა დაიღუპოს ერთის კაცის გულისათვის მთელი ქვეყანაო.

შესახებ ამ საძოვრების ჩამორთმევისა—აი საქმე როგორ არის: ხიტრახოელებს სამხრეთ-დასავლეთის მხარეს,—დიდი საზაფხულო საძოვრები უქვთ. ეს ადგილები ყოველთვის თუშებს და ქართველებს სჭერებიათ ცხვრის საძოვრად ზაფხულში და ხიტრახოელებისათვის უძლევიათ—დადებული საბალახე ას სულზედ ორი ცხვარი, ასე რომ მთელი საბალახე ფულად შეადგენდა 250 მანეთიდამ 300 მანეთამდე. თ. გიორგი ჯორჯაძეს საზამთრო ადგილი ცხვრისათვის არ ჰქონებია და ზოგიერთ მებატონეებთან, რომელთაც იორზედ საზამთრო საძოვრები აქვთ,—პირობა შეუკრია: „ზამთარში თქვენ მამეციც ცხვრის ადგილიო, ზაფხულში მე მოგცემთო." ამისგამო გაუგზავნია ხიტრახოელებთან კაცი და თანხმად მთელის საზოგადოებისა თ. ჯორჯაძეს აუღია ეს ადგილები იჯარით წელიწადში 400 მანეთად. გადასულან საზოგადოებისაგან ამორჩეული კაცები შუადაღისტნის მმართველის უპრავლენიაში და იქ წესიერად დაუმტკიცებიათ პირობის წერილი,—ბეთაც გამოურთმევიათ 180 მანეთი. მე ნამდვილის ცნობებიდამ დავრწმუნდი, რომ ხიტრახოელებს იმ ადგილიდამ—ამაზედ მეტი შემოსავალი თავის დღეში არ ჰქონიათ. ძალად გამორთმევა იმ ადგილებისა დასაჯერებელი არ არის, ამიტომ, რომ სამძლო იქ არა იყო რა. ხიტრახოელებისათვის ეს ადგილები სრულიად საჭირო არ არის, მაშასადამე ვისაც უნდა სჭეროდა იმათთვის სულ ერთი იყო, მხოლოდ თავიან-

თი კი აქლოთ. იმ ფიქრის მოტანა, რომ თ. გ. ჯორჯაძე არ მისცემდა 400 მ. და ამით ააღელვებდა დიდოელებს,—უგუნურობა იქნება და ყველა ვინც იცნობს თ. გიორგის დამეთანხმება, რომ ის იმგვარი კაცთაგანი არ არის, რომ ამისთანა საქმით ჩირქი მოიცხოს.

გარდა ამისა ეს უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ხიტრასხოელები სრულებით არ რეულან აჯანყებაში, მოთავენი იყვნენ ასასხოელები, რომელთაც არა გვარი მონაწილეობა ამ ადგილებში არა აქვთ.—ხიტრასხოელების ადგილების მახლობლად ხუფროელების საძოვრებია. ეს ადგილები კიდევ, აგრეთვე კანონიერად დამოწმებულის პირობის წერილით და ხუფროელების ნება-ყოფლობით, ჰქონდა აღებული იჯარით თ. გ. ჭავჭავაძეს. ერთის სიტყვით ძალ-დატანება როგორც ერთის მხარიდამ—ისე მეორიდამ არა ყოფილა და თუნდ ყოფილიყო კიდეც ამ გარემოებას არ შეეძლო ამისთანა განსეთქილება მოეხდინა მთელს დიდოში.

თუ მიზეზად მართლა ამ ადგილების იჯარით აღებას დავსახავთ შილდის მთებზედ დაცემა და ცხვრის გარეკა რაღა იყო?! შილდის მთა ხომ ყოველთვის შილდისა ყოფილა და დიდოელებს მის დღეში აქ საქმე არა ჰქონიათ. თუ გ. ჯორჯაძის და ჭავჭავაძის ჯავრი სჭირდათ სხვას რაღას ემართლებოდნენ!! ძალიან კარგად იცოდნენ დიდოელებმა სად იდგა იმათი ცხვარი, ანუ ვინ იყვნენ იმათი მწყემსები; ძალიან ადვილად შეეძლოთ ზიანი მარტო იმათთვის მიეცათ, მაგრამ იმათთვის ხელიც არ უხლიათ, შეიკლეს სრულიად სხვის მწყემსები და აიგლეს სრულიად სხვისი ცხვარი.

ქოხწქოლის და გადგომის განძრახვა მთელს დაღესტანს ჰქონდა,—დღესაც ანწუხელები და კაპუჭელები გადგომილნი არიან,—აბა ამათ ვიღამ წაართვა ადგილები? ანუ თუ ხიტრასხოელების და ხუფროელების მამულების ჩამორთმევამ იჯარით მთელი დიდოელები გააყენა? ეს ყოვლად დაუჯერებელია.

ჭეშმარიტი მიზეზი აი რაში მდგომარეობს: დიდოელების ნაიბი ინყო-ჩილო მეტად სამაგლად ექცეოდა თურმე დიდოელებს; ყველანი დამუქრებულები იყვნენ,—„იმისი ხორცი უნდა გვჭამოთო.“ გარდა ამისა ოსმალოს მქადაგებლებმა არ დაივიწყეს ეს მხარეც. მასდღეს შემდეგ რაც რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო, ძალიან ბევრი კაცი თურმე მოვიდა დიდოში ოსმალეთიდამ.

აი ყველა ამას და კიდევ სხვა წვრილმან ამბებს ძველებს და ახლებს შეესხათ ფრთები დიდოელებისათვის, და აეჯანყებინათ.

ახლაც ბევრგან თურმეა ჩონჩქოლი და, თუ თოვლმა მალე არ გვისწრო, კიდევაც სიფრთხილე ჰმართებს კაცთსა.

ქიჩოელი.

---

## განცხადება.

გამოვიდა ამ დღეებში წესდება სასჯელთა ზედა, რომელთაცა გადასწყვეტენ მომრიგებელნი მსაჯულნი გასაციის განაჩენებითა. ისყიდება თბილისში ტერ-გრიგორიოვის მაღაზიაში, ქუთაისში ტერ-გრიგორიოვის აგენტთან და სიღნაღში ნ. გამრეკელთან.

---

## სახელმძღვანელონი, შედგენილნი ი. გოგებაშვილისაგან.

**ქართული ანბანი** და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ახალი ვრცელად და შეცვლილი გამოცემა, ფასი ორი შაური. ისყიდება გამომცემლის გრიგორიოვის წიგნების მაღაზიაში კუკიის ხიდთან. ვინც ნაღდ ფულზედ ასს, ან მომეტებულს ეგზემპლიარს ერთბაშათ იყიდის, იმას ეგზემპლიარი დაეთმობა 9 კაპეიკათ.

**დარიგება** მასწავლებელთათვის შესახებ ხმარებისა წინეთ მოხსენებული წიგნისა, ფასი ერთი შაური, ისყიდება იქვე და მელიქიშვილის სტამბაში.

**დედა ენა**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი გამოცემა პირველი, შემკული მრავალი სურათებითა, ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური, ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდზედ ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის ერთათ ოც და ათ ეგზემპლიარსა, ან მომეტებულსა, იმას დაეთმობა უყდო ეგზემპლიარი ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათ.

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე